

თამაზ ჭუმბურიძე, ლადო ქურცაძე, ნინო ნემსიტვერიძე, ნათია კვიციანიძე,  
იოსებ თომაძე, ლიზი თომაძე

## კლინიკისათვის ანტიბიოტიკების რაციონალური ესენციური პრეპარატების ნუსხის შემუშავება

თსსუ, სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2024.04.14>

TAMAZ TCHUMBURIDZE, LADO KURTSADZE, NINO NEMSITSVERIDZE, NATIA KVIZHINADZE,  
IOSEB TOMADZE, LIZI TOMADZE

### DEVELOPMENT OF A LIST OF RATIONAL ESSENTIAL ANTIBIOTIC PREPARATIONS FOR THE CLINIC

TSMU, Department of Social and Clinical Pharmacy, Tbilisi, Georgia

#### SUMMARY

The purpose of the research was to compile an essential list of antibiotics for multi-profile clinic in Tbilisi and to calculate the corresponding pharmaco-economical benefits. At the first stage of the research, we developed a list of necessary antibiotics for the clinic based on the list of WHO essential medicines and the national essential medicines of Georgia. The second stage of the research included the analysis of the list of antibiotics already available in the clinic; at the next stage, based on the needs of the clinic, we studied antibiotics available on the Georgian pharmaceutical market, taking into account their cost-effectiveness. From the existing list of antibiotics already used at the clinic, we removed the expensive brands, and replaced them with generic drugs of acceptable quality. The proposed antibiotics will reduce costs for both the clinic and the patients. When replacing medicines, two factors were taken into account: quality and price. Therefore, medicines we selected were less expensive in price, but equal to brands in terms of quality. Considering the pharmaco-economical indicators according to our calculations, replacing 30 of the 55 medications of different pharmacological groups purchased by the clinic with an economically favorable alternative resulted in a price difference, saving them additional 35,066 GEL.

**Keywords:** Development, list, rational, essential, antibiotic, preparations, clinic

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია (ჯანმო) დიდი ხანია აქვეყნებს ესენციური პრეპარატების ნუსხას. ის მზადაა ინფორმაცია მიაწოდოს სხვადასხვა ქვეყნებს და დაეხმაროს შექმნან აუცილებელი ძირითადი მედიკამენტების ნუსხა, რათა მოხდეს მედიკამენტების სწორად და რაციონალურად გამოყენება. ჯანმოს-ს მოდელის განახლებისთვის გამოყენებულია მტკიცებულებებზე დაფუძნებული მეთოდების გამოყენებით ჩამოყალიბებული ნუსხა [1,2,7].

ანტიბიოტიკების რელევანტური შერჩევა წარმოადგენს ძირითად გზას კლინიკაში მათი გამოყენების ეფექტურობის ზრდისა და არასასურველი მოვლენების თავიდან აცილების მიმართულებით [3,4]. ამისათვის პირველი ნაბიჯი არის ესენციური ნუსხის შემუშავება კლინიკის საჭიროების გათვალისწინებით. ადეკვატური ესენციური ნუსხის გამოყენება ზრდის მკურნალობის დადებით შედეგებს და ამცირებს არასასურველი თერაპიის შემთხვევების წილს. ამასთან მნიშვნელოვანია ეკონომიკური ეფექტი, რაც ძალზე აქტუალურია ყველა კლინიკისათვის, რომლის შემუშავების შედეგადაც კლინიკა ღებულობს როგორც სამედიცინო, ისე ეკონომიკურ სარგებელს [5,6].

აღსანიშნავია, რომ კლინიკური ფარმაცევტი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ასევე ანტიბიოტიკების რეზისტენტობის საკითხებზე კლინიკაში, ვინაიდან არასწორმა გამოყენებამ შეიძლება დიდი ზიანი მოუტანოს ადამიანის ჯანმრთელობას.

კვლევის მიზანს შეადგენდა თბილისის მრავალპროფილიანი კლინიკისათვის ესენციური ანტიბიოტიკების ნუსხის შედგენა და შესაბამისი ფარმაკოეკონომიკური სარგებლის გაანგარიშება.

რისთვისაც კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა ჯანმოს ესენციური მედიკამენტებისა და საქართველოს ეროვნული ესენციური მედიკამენტების სიის საფუძველზე კლინიკისათვის აუცილებელი ანტიბიოტიკების ნუსხის შედგენა. კვლევის მეორე ეტაპი მოიცავდა კლინიკაში არსებული ანტიბიოტიკების ჩამონათვალის ანალიზს; შემდგომ ეტაპზე კლინიკის საჭიროებიდან გამომდინარე შესწავლილ იქნა ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული ანტიბიოტიკები, მათი ფასსარგებლის გათვალისწინებით.

იქედან გამომდინარე, რომ დღეს-დღეისობით ჩვენს ქვეყანას არ გააჩნია დაკანონებული ეროვნული ესენციური მედიკამენტების სია, კვლევაში გამოყენებული იყო მხოლოდ ჯანმოს სია. ხოლო ჩვენს მიერ შეთავაზებული სია გააიოლებს კლინიკაში არსებული ანტიბიოტიკების შესყიდვების სისტემას, გაზრდის თერაპიის ეფექტურობას, შეამცირებს ხარჯებს და სამედიცინო სრულფასოვანი სერვისებით სარგებლობას შეძლებს უფრო მეტი ადამიანი.

კვლევის შედეგად შემუშავებული ანტიბიოტიკების სია მოიცავს ანტიბიოტიკოთერაპიის დროს გამოყენებული მედიკამენტების საერთაშორისო დასახელებებს, ფორმებს, დოზებს და შეყვანის გზებს. კლინიკის მიერ გამოყენებული ანტიბიოტიკების არსებული სიიდან ჩვენს მიერ ამოღებულ იქნა ძვირადღირებული ბრენდები, რომლებიც ჩავანაცვლეთ მისაღები ხარისხის გენერიული პრეპარატებით. შეთავაზებული ანტიბიოტიკები შეამცირებს დანახარჯებს როგორც კლინიკისათვის, აგრეთვე პაციენტებისათვისაც. მედიკამენტების ჩანაცვლების დროს გათვალისწინებული იყო ორი ფაქტორი - ხარისხი და ფასი. აქედან გამომდინარე შეირჩა ისეთი მედიკამენტები, რომლებიც ფასით უფრო ეკონომიურები იყვნენ, მაგრამ ხარისხით ბრენდებს უტოლდებოდნენ.

ანტიბიოტიკების ნუსხის ჩანაცვლების შედეგად მივიღეთ შედეგებით მოკლე ოპტიმალური ნუსხა, რომელიც შედგება უფრო დაბალი ფასის გენერიკული მედიკამენტებისაგან, რაც აისახა შესასყიდი ანტიბიოტიკების დანახარჯზე, მისი შემცირების მიმართულებით.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მიერ შემუშავებული ესენციური ანტიბიოტიკების ნუსხის შეთავაზებული მოდელი, საშუალებას მისცემს კლინიკას გამოყენების შემთხვევაში, შეიძინოს ანტიბიოტიკები ეკონომიურად ოპტიმალური ღირებულების, უსაფრთხოებისა და ეფექტურობის გათვალისწინებით. ფარმაკოეკონომიკური მაჩვენებლების გამოთვლების შედეგად მივიღეთ:

- კლინიკის მიერ შეძენილი სხვადასხვა ჯგუფის 55 დასახელების ანტიბიოტიკიდან 30 მედიკამენტის ჩანაცვლებამ უფრო დაბალი ფასით, გამოიწვია დადებითი ეკონომიკური ეფექტი;
- კლინიკის მიერ შესყიდული მედიკამენტების ჯამური ღირებულება შეადგენდა 108573 ლარს, ხოლო ჩვენს მიერ ჩანაცვლებული მედიკამენტების ჯამური ღირებულება შეადგენს 47562 ლარს;
- საბოლოოდ შეთავაზებულ ნუსხაში მედიკამენტების ღირებულება არის 73507 ლარი, რაც კლინიკას საშუალებას აძლევს დაზოგოს 35066 ლარი.
- ესენციური ანტიბიოტიკების ნუსხის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს კლინიკის მედიკამენტების შესყიდვის რაციონალიზებას.
- ფარმაკოეკონომიკური ანალიზი საშუალებას აძლევს კლინიკისათვის რაციონალურად განისაზღვროს მედიკამენტებთან დაკავშირებული ხარჯები.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. WHO model list of essential medicines - 22nd list, 2021
2. Selection of essential medicines at country level Using the WHO model list of essential medicines to update a national essential medicines list. 2020- 21 April.
3. Basic documents 42 edition, Geneva, 2021 Constitution of WHO including amendments, Accepted up to 31/December/2020

4. Accepted by the general assembly of the united nations on 10/12/1948. Universal declaration of Humans right. 2005
5. Accepted by 16/12/1996. International covenant on economic social and cultural right
6. Substantive issues arising in the implementation of the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights. Committee on economic, social and cultural right. United nation. Economic and social council. General comment no14. 22<sup>nd</sup> session Geneva 25 april-12/04/2000.
7. Essential medicines for universal health coverage/ Martha Gyansa-Lutterodt, Veronika J Wirtz, Hans V Hogerzeil, s Ellen F M 't Hoen, b Anita K Wagner, r Prashant Yadav, Andrew L Gray, Maryam Bigdeli, Lembit Rägo, A4rash Rashidian, Cornelis P de Joncheere, j Regina M Mbindyo, Helene Möller, Margaret A Ewen, Sun Jing, i Vera L Luiza, , Bernard Pécoul, Dennis Ross-Degnan, and Michael R Reich,

*თამაზ ჭუმბურიძე, ლადო ქურცაძე, ნინო ნემსინვერიძე, ნათია კვიციანიძე,  
იოსებ თომაძე, ლიზი თომაძე*

**კლინიკისათვის ანტიბიოტიკების რაციონალური ესენციური  
პრეპარატების ნუსხის შემუშავება**

თსსუ, სოციალური და კლინიკური ფარმაციის დეპარტამენტი, თბილისი, საქართველო

**რეზიუმე**

კვლევის მიზანს წარმოადგენდა თბილისის მრავალპროფილიანი კლინიკისათვის ანტიბიოტიკების ესენციური ნუსხის შედგენა და შესაბამისი ფარმაკოეკონომიკური სარგებლის გაანგარიშება. რისთვისაც კვლევის პირველ ეტაპზე მოხდა ჯანმოს ესენციური მედიკამენტებისა და საქართველოს ეროვნული ესენციური მედიკამენტების სიის საფუძველზე კლინიკისათვის აუცილებელი ანტიბიოტიკების ნუსხის შემუშავება. კვლევის მეორე ეტაპი მოიცავდა კლინიკაში არსებული ანტიბიოტიკების ჩამონათვალის ანალიზს; შემდგომ ეტაპზე კლინიკის საჭიროებიდან გამომდინარე შესწავლილ იქნა ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული ანტიბიოტიკები, მათი ფასსარგებლის გათვალისწინებით. კლინიკის მიერ გამოყენებული ანტიბიოტიკების არსებული სიიდან ჩვენს მიერ ამოღებულ იქნა ძვირადღირებული ბრენდები, რომლებიც ჩავანაცვლეთ მისაღები ხარისხის გენერიული პრეპარატებით. შეთავაზებული ანტიბიოტიკები შეამცირებს დანახარჯებს როგორც კლინიკისათვის, აგრეთვე პაციენტებისათვისაც. მედიკამენტების ჩანაცვლების დროს გათვალისწინებული იყო ორი ფაქტორი - ხარისხი და ფასი. აქედან გამომდინარე შეირჩა ისეთი მედიკამენტები, რომლებიც ფასით უფრო ეკონომიურები იყვნენ, მაგრამ ხარისხით ბრენდებს უტოლდებოდნენ. ფარმაკოეკონომიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით ჩვენს მიერ გაკეთებული გაანგარიშებით კლინიკის მიერ შეძენილი სხვადასხვა ფარმაკოლოგიური ჯგუფის 55 მედიკამენტიდან 30 მედიკამენტის ჩანაცვლებამ ეკონომიურად ხელსაყრელი ანალოგით, გამოიწვია ფასთა შორის სხვაობა, ანუ დანაზოგი - 35066 ლარი.

